პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 105 (6160)

31 მაისი, ოთხშაბათი, 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## კალათბურთი

...ოზნანში კალათბურთელ ქალ... გუნდების ევროპის მეთექვსმე... ჩემპიონატის ფინალური ტურ... ბოლოს წინა დღეს, ამჯერად ... კონტინენტის თოთხმეტგზის ...ონები — საბჭოთა კალათბუ...ლები, ისვენებდნენ, ხოლო და...ნ გუნდებს ბრძოლა ჰქონდათ ...ების ორი კომპლექტისთვის. ...ხლის მედლების მოპოვების ...აზე უფრო მეტი შანსი აქვთ ...სლავიელ სპორტსმენებს, რო...მაც დაამარცხეს ფრანგები — ...ახლა მათ 9 ქულა აქვთ. ქუ... ნაკლები დააგროვეს კონტი...ის გასული ჩემპიონატის ვერ...ის პრიზიორებმა — ჩეხოსლო...ელებმა, რომლებმაც დაამარ... ბულგარელები — 96:71. ამა...დღეს პირველი გამარჯვება იზე... პოლონელმა სპორტსმენებმა ... დაამარცხეს უნგრეთის ნაკრე... — 70:64.

...ჩემპიონატის ბოლო დღეს საპრი... ადგილებისთვის გადამწყვეტი ...მნელობა ექნება ჩეხოსლოვაკია ... საფრანგეთისა და იუგოსლავია ... პოლონეთის მატჩების შედეგ... საბჭოთა კალათბურთელები ...ჯრელებს ხვდებიან.

## ფარიკაობა

...აუნით მოფარიკავეთა საბჭო... გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა ...ფრანგეთის ქალაქ პუატიეში გა...თულ მოფარიკავეთა საერთაშო...ო ტურნირში, რომელშიც 11 ...ყნის სპორტსმენები მონაწილე...ბდნენ. გუნდური გამარჯვება იზე...ს ფრანგებმა. პირადი ტურნი... ფინალშიც გამარჯვება მასპი...ლ ფ. რიბუს ხვდა. საბჭოთა ...ფარიკავეთაგან საუკეთესო იყო ...ღუნაევი, რომელიც V ადგილზე ...ვიდა.

## მძლეოსნობა

...ოფიაში გამართულ ბულგა...ელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ...ონკურსოდ მოასპარეზე მსოფ...ო რეკორდსმენმა ფ. მელნიკმა (...სკოვი) ბადრო 69,04 მეტრზე ...ტყორცნა, რაც წლეულს მსოფლი...ო საუკეთესო შედეგია.

## ორნი ნაკრებში

...სიხარული ცნობა მოვიდა მოს...ოვიდან: ქართველი მოციგურა...ები გია შამყულაშვილი („დი...ამო") და ბადრი ყურაშვილი (...ვანთიადი") შეყვანილნი არიან ... კავშირის ახალგაზრდულ ნაკ...რებში ვაჟ ერთეულთა შორის.

## ...ირაჟესოზის მიუხედავად...

...სამტრედიაში, „ლოკომოტივის" ...სტადიონზე ჩატარდა მორიგი კა...ლენდარული შეხვედრები ბალახის ...ბურთში საბჭოთა კავშირის პირ...ველობაზე „ა" კლასის I ლიგის ...გუნდებს შორის.

...ქუთაისის „ლოკომოტივი" მას...პინძლობდა ტაშკენტის „პოლიტე...ხნიკს".

...პირველი შეხვედრა დამთავრდა ...ფრედ — 0:0.

...განმეორებითი შეხვედრა ქუთაი...სელთა სრული უპირატესობით მი...მდინარეობდა, მაგრამ თამაშის მე...ორე ნახევრის პირველსავე წუთ...ზე ტაშკენტელი ბ. ამიროვის გა...ტანილმა ბურთმა გამარჯვება მო...უტანა სტუმრებს.

...აღსანიშნავია, რომ ლოკომოტი...ელმა ე. ტალაბაძემ ვერ გამოიყე...ნა 6 მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

**ლ. ფანჩულიძე.**

სამტრედია.

## რესპუბლიკური რეკორდით

**კიშინიოვში** 2 დღეს გრძელდებოდა მოლდავეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების გუნდების ტრადიციული სამატჩო შეხვედრა, რომელშიც რუმინეთის ქალაქ იასის მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ. ეს ტურნირი ადრინდელისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ გუნდური პირველობა მოზრდილებისა და იუნიორებისთვის ცალ-ცალკე თამაშდებოდა.

როგორც მოზრდილთა, ისე იუნიორთა შეჯიბრებაში პირველობა მასპინძლებმა მოიგეს. საქართველოს სპორტსმენები ორივე ასაკში II ადგილებზე გავიდნენ, ხოლო III ადგილები წილად ხვდათ სომხეთის (მოზრდილები) და აზერბაიჯანის მძლეოსნებს.

დროდადრო წვიმის მიუხედავად რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები. თბილისელმა ლ. წინწალაშვილმა 1500 მეტრზე რბენაში საქართველოს რეკორდი დაამყარა — 4.32,8. 100 მეტრზე რბენაში პირველობა წილად ხვდა საქართველოს გუნდის წევრს ტ. ბელოვას — 11,9.

სამხტომში აშკარა იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის უპირატესობა. იგი მისთვის არცთუ ისე შორს გადახტა, მაგრამ 16,24 მეტრიც საკმარისი გამოდგა გამარჯვებისთვის.

# ვიქტორ სანეევი: ჯერ ოლიმპიადა-80...

შეჯიბრების შემდეგ საქდესის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა **ვ. სანეევს.**

**— როგორია თქვენი მთავარი მიზანი მიმდინარე სეზონში?**

— გავიმარჯვო პრაღაში ევროპის ჩემპიონატზე.

**— რას აკეთებთ ამისთვის?**

— ...არ ვცდილობ სპორტულ ფორმაში სწრაფად შესვლას. კიშინიოვის სარბიელზე ძლიერი კონკურენცია რომ ყოფილიყო, ვეცდებოდი 16,50 — 16,70 მეტრზე გადახტომას. ეს ჩემი პირველი სტარტი იყო წლეულს. ვგრძნობ, რომ ტექნიკური გეგმის მიხედვით ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც საჭიროა, მაგრამ ორი-სამი სტარტის შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნება. ევროპის ჩემპიონატისთვის, ვფიქრობ, სპორტული ფორმის მწვერვალს მივაღწევ.

**— რამდენ მეტრზე უნდა გადახტეთ პრაღაში, რომ გახდეთ ევროპის ჩემპიონი?**

— ალბათ 17 მეტრი და 20 სანტიმეტრი საკმარისი იქნება.

**— იქნება თუ არა იქ მწვავე ბრძოლა ჩემპიონობისთვის?**

— თუ მხოლოდ 17 მეტრზე გადავხტები, მაშინ I ადგილის პრეტენდენტები იქნებიან ინგლისელი კონორი და ფრანგი ლიმიტე. ჩვენს ბიჭებსაც — ვალიუკევიჩს, იაკოვლევს, კოტუნოვს, პისკულინს შეუძლიათ შეუტიონ ამ ზღვარს. ხოლო თუ მე 17 მეტრს გადავაჭარბებ, მაშინ ამ ჩემპიონატზე, ვფიქრობ კონკურენტი არ მეყოლება. ეს აიხსნება ევროპაში უძლიერეს სამხტომელთა შორის თაობათა ცვლით.

**— რატომ არ ასპარეზობდით ზამთარში?**

— გადავწყვიტე ოპერაციის შემდეგ დამესვენა. პროფესორმა პეკო პელტო კალიომ, რომელმაც შარშან ოქტომბრის დასაწყისში ჰელსინკში თავის კლინიკაში გამიკეთა ოპერაცია აქილევსის მყესის ქრონიკული ანთების გამო, მირჩია სამი თვის განმავლობაში მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშით დავკმაყოფილებულიყავი.

**— ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— ვერ ვიტყვი რომ კარგად, მაგრამ დამაკმაყოფილებლად კი.

**— აპირებთ თუ არა ოლიმპიადა-80-ში ასპარეზობას?**

— ვაპირებ. თუ, რა თქმა უნდა, გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა.

სპორტში ძნელია წინასწარ რაიმეს დაგეგმვა. არც წინა ოლიმპიადებში დამიგეგმია გამოსვლები, არც ახლა ვაპირებ. თან ასაკიც... ოქტომბერში 33 წლის გავხდები.

**— ოლიმპიადა-80-ში გამარჯვებისთვის რამდენი მეტრი იქნება დასაძლევი?**

— ყველაზე ნაკლები 17,40-17,50.

**— გაუმჯობესდება თუ არა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებამდე მსოფლიო რეკორდი?**

— ჩემის აზრით, არა! ეს არ მოხდება უახლოეს 10-20 წლის განმავლობაში.

**— რატომ ამდენ ხანს?**

— არსებული რეკორდის დასამხობად იდეალური პირობებია საჭირო. მეხიკოს სიმაღლე, ბრწყინვალე ამინდი, უმაღლესი სპორტული ფორმა და ა. შ.

**— გამოდის, რომ იმედი არ უნდა ვიქონიოთ 18 მეტრს იქით გადახტომის მოწმენი გავხდეთ.**

— რატომ არა! თუ ხშირად ჩატარდება დიდი შეჯიბრებები მაღალმთიან ადგილებში ეს შეიძლება 1990 წლისთვის მოხდეს.

**— როგორი იქნება ეს რეკორდსმენი?**

— სიმაღლე — 190 სმ, წონა — 72-75 კგ. 100-მეტრიან მანძილს დაფარავს 10,2-ში, ყველაფერი ეს ბრაზილიელი ოლივეირას მონაცემია. მე იგი სამხტომელის იდეალად მიმაჩნია.

**— შარშანდელს აქეთ ხომ არაფერი შეცვლილა თქვენს პირად ცხოვრებაში?**

— არაფერი, გარდა იმისა, რომ ვაჟიშვილი გაიზარდა. იგი ახლა სამნახევარი წლისაა, საშკას აინტერესებს ყველაფერი: რატომ დავრბივარ ამდენს (ეს მაშინ, როცა ჩემთან ერთად მოდის ვარჯიშზე), სათამაშოების მოწყობილობა. მოკლედ რომ ვთქვათ, მას უნდა გაიგოს ყველაფერი, ხელი მოკიდოს, დაარღვიოს, ხელახლა ააწყოს, ამიტომაც ვეძახი „გამომცდელს".

**— ფიქრობთ, თუ არა მომავალში მწვრთნელად მუშაობას?**

— მტკიცედ გადავწყვიტე: მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ ახალგაზრდა მძლეოსნების აღზრდას მოვკიდებ ხელს. ახლაც თბილისში ვავარჯიშებ 19-20 წლის ასაკის სპორტსმენებს. აქ, კიშინიოვში ასპარეზობდა ჩემი აღზრდილი ბ. კოვალსკი, რომელიც 15 მეტრზე იქით გადახტა. ძნელია პედაგოგიური მოღვაწეობა, მაგრამ ვცდილობ მთელი გამოცდილება გადავცე ახალგაზრდა მხტომელებს.

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებები მოქმედებაში

ამ ბოლო ხანს ქალაქ ფოთის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ სახელი გაითქვა რამდენიმე საკავშირო თუ რესპუბლიკური ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებით. ქალაქის მესვეურთა მასპინძლობით, ყურადღებით, მათი სპორტისადმი უზომო სიყვარულით მოხიბლული იყვნენ აკადემიური ნიჩბოსნობის ცნობილი საბჭოთა სპეციალისტები, სპორტსმენები გაწეულმა შრომამ უქმად როდი ჩაიარა. ფოთელთა თავდადება დიპლომებით აღნიშნა საკავშირო სპორტკომიტეტმა. ვალში მას არც ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი დარჩა. ამას ისიც დაემატა, რომ მიმდინარე წლის სპორტულ სეზონში ფოთელმა სპორტსმენებმა, ცალკეულმა გუნდებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სხვადასხვა სპორტულ სახეობებში გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ჩვენ დავინტერესდით ამ შავიზღვისპირა ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობით და ვეწვიეთ მას.



# ზღვისპირეთში არის ასეთი ქალაქი...

### ერთიანი ძალით

ჭეშმარიტებაა, რომ ფიზკულტურასა და სპორტში წარმატებას, ახალგაზრდა თაობის ფიზიკურად გაკაჟებას განაპირობებს პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობა. სწორედ ასეა ამ ქალაქში. ფიზკულტურა და სპორტი საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა ქალაქის საბჭოს აღმასკომის, კომკავშირის რაიკომის მესვეურთა მუდამჟამ ყურადღების ცენტრშია. ფოთელი ახალგაზრდობა და არა მარტო ახალგაზრდობა ფიზიკურად ჯანსაღი რომ იყოს, ამის მისაღწევად ყველა თანაბრად ზრუნავს, განსაკუთრებით გაძლიერდა საქმიანობა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდგომ პერიოდში. საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი ლეილა კაკულია გვესაუბრება:

— რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დიდი ამოცანები დაუსახა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ფიზკულტურა და სპორტი კიდევ უფრო მძლავრად დანერგილიყო საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. რასაკვირველია, აქტივის კრების გადაწყვეტილება ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ გულთან ახლო მიიღო და ამ დარგში მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. პირველყოვლისა, ეს იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილება, რომელიც ადგილობრივ პარტიულ, სამეურნეო თუ სხვა ორგანიზაციებს ავალებდა სპორტული ბაზების კეთილმოწყობის სამუშაოთა ჩატარებას, ახალი ბაზების მშენებლობის განხორციელებას. ამას დაემატა ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც ეფექტურად ხელს შეუწყობენ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ დანერგვა-განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში, სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ პუნქტში შეტანილი აქვთ ზრუნვა ახალგაზრდობის ფიზიკური გაკაჟებისთვის. ამან ერთი-ორად აამაღლა მათი პასუხისმგებლობა. ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდგომ პერიოდში ქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სხვადასხვა რესპუბლიკურ ასპარეზობაში, შესამჩნევად წინ წავიდა ფიზკულტურისა და სპორტის მოსახლეობაში მასობრივად დანერგვის საქმე. ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟებას ემსახურება 7 სპორტსაზოგადოების 52 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 18 ათასამდე კაცი. ამ საშვილიშვილო საქმეს უძღვება ფიზკულტურის 80 მუშაკი (მათ შორის 56 უმაღლესი სპეციალური ფიზკულტურული განათლებით), სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები. წინსვლას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დაინერგა მეტად საჭირო ინიციატივა: ეწყობა შეხვედრები ფოთში საწვრთნელ შეკრებებზე ჩამოსულ სსრ კავშირისა და თუ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებთან, მათის ხელმძღვანელებთან, იმართება საუბარი მომავალ ასპარეზობათა, სპორტსმენთა ეთიკისა და ქცევის საკითხებზე.

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

**ნაყოფიერად** მუშაობს ფოთის „ვოდნიკის" კრივის სექცია, სადაც გამოცდილი მწვრთნელის ტ. ვერულაშვილის ხელმძღვანელობით ბევრი ახალგაზრდა ეუფლება სპორტის ამ სახეობის ტექნიკას, ტაქტიკას.

სურათზე: თქვენ ხედავთ წვრთნის ერთ-ერთ მომენტს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ზღვისპირეთში არის ასეთი ქალაქი...

### დასასრული

მოსახლეობის ფართო მასებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით, საცხოვრებელ მასივებში მოეწყო სპორტული მოედნები, სპორტსაზოგადოებებში შეიქმნა გამაჯანსაღებელი ჯგუფები საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებისთვის. ფოთელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, დონის როსტოვში, ტალინსა თუ სხვა დიდ ქალაქებში გამართულ საკავშირო მასშტაბის ღონისძიებებში. მეორე რესპუბლიკურ ახალგაზრდულ თამაშებში ჩვენი ქალაქის ნაკრებმა გუნდმა ჩამოიტოვა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, გორის, ზუგდიდისა და სხვა ძლიერი კოლექტივები და საპატიო მესამე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთელმა სპორტსმენებმა მეორე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში რესპუბლიკის ნაკრებს თბილისისა და ქუთაისის წარმომადგენლების შემდეგ ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა შესძინეს.

მიღწეული წარმატებები ზღვარი როდია. მომავალში კიდევ მეტი საქმე გველის. ფოთის პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად, ვფიქრობთ, წარმატებით გადაჭრის ქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანებს.

### ჩინებული მასპინძლები

**ფოთელებს** არ ახსოვთ ამდენი სპორტსმენის სტუმრობა. ყველაფერს გადააჭარბა აკადემიურ ნიჩბოსნობაში (მცირე ნავებში) საკავშირო ჩემპიონატმა. ქალაქს ესტუმრა სსრ კავშირის I და II, „დინამოს", შეიარაღებული ძალებისა და სხვა გუნდების 600 წარმომადგენელი. თავდაპირველად ბევრს ეჭვებოდა ის ამბავი, რომ ეს პატარა ქალაქი შეძლებდა კი ასეთი დიდი მასშტაბის სპორტული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას? მაგრამ ქალაქის მესვეურებმა ყველაფერი იღონეს მონაწილეთა დაბინავების, კვების საკითხის წარმატებით გადაჭრისთვის, შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

საკავშირო ასპარეზობა მართლაც ჩინებულად ჩატარდა. კმაყოფილნი იყვნენ სპორტსმენები, აკადემიური ნიჩბოსნობის სპეციალისტები. ფოთელთა უჩვეულო სტუმართმოყვარეობის ამბავმა მოსკოვამდეც მიაღწია. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მადლობის დეპეშა გამოუგზავნა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას, ხოლო ქალაქ ფოთის ხელმძღვანელთა და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ოთარ ხომერიკის საქმიანობა საკავშირო სპორტკომიტეტის დიპლომებით აღინიშნა.

ამ ქალაქის სპორტულ ბაზებზე თავიანთი ძალა გამოსცადეს შავი ზღვის საკავშირო რეგატის, აკადემიურ ნიჩბოსნობაში რესპუბლიკურ თასზე შეჯიბრების, ცხენოსნობაში რესპუბლიკური აბსოლუტური პირველობის, ფეხბურთში, ნიჩბოსნობაში მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობების მონაწილეებმა.

ყველას აზრი ასეთი იყო: ფოთელებს ჩინებული მასპინძლობა სცოდნიათ, დიდი შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარების მშვენიერი უნარი ჰქონიათ.

**— კარგი ორგანიზატორის სახელი საამაყოა, — გვითხრა ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ ხომერიკამ, — მაგრამ ამან დიდი საზრუნავიც გაგვიჩინა: რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად მოგვდის დეპეშები სხვადასხვა საკავშირო თუ რესპუბლიკური ასპარეზობების ჩვენთან გამართვის თაობაზე. ერთი რამ გვაფიქრებს: ყოველივე ეს ხომ არ შეუშლის ხელს ჩვენი შინაური კალენდარული გეგმის განხორციელებას?**

გვჯერა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის ფოთელი ენთუზიასტები „შინაურ საქმეებსაც" კარგად მოაგვარებენ და კვლავაც ჩინებულ მასპინძელთა როლში მოგვევლინებიან.

### იქ, სადაც სპორტი უყვართ

**ბევრი** კარგი ფიზკულტურული კოლექტივია ფოთში. როცა მოწინავეებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, აუცილებლად გამოყოფენ ორ ორგანიზაციას — ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი და ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნების კოლექტივებს. მართლაც, ამ საწარმოებში ძალიან უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. მათი დანერგვა-განვითარებისთვის ერთნაირად ზრუნავენ ქარხნების ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, მუშები, ტექნიკური პერსონალი.

...ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხანაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებული სპორტული სტენდი, სადაც გამოფენილია საწარმოს გამოჩენილ სპორტსმენთა პორტრეტები, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ღონისძიებათა კალენდარული გეგმა, მშდ-ის ნორმატივები, მათი ჩაბარების გრაფიკი, სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. ერთ-ერთ კედელზე გაკრულია ტრანსპარანტი — „მშდ — სიმხნევის, ჯანმრთელობის წყარო". ქარხანაში სტუმრად მოსული მაშინვე იგრძნობს, რომ აქ დიდ პატივს სცემენ ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟების საქმეს. ფიზკულტურის საბჭოს ოთახი სავსეა საწარმოს სპორტსმენების მიერ მოხვეჭილი ჯილდოებით, — თასებით, დიპლომებით, სიგელებით, გარდამავალი წითელი დროშებით. ათვალიერებ ქარხნის ფიზკულტურის საბჭოს საქმიან ქაღალდებს და გრძნობ, რომ საწარმოში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარება ამ საქმის მოყვარულთა ხელშია. ქარხნის 900-კაციანი კოლექტივიდან 600 სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრია, 582 კი რეგულარულად მონაწილეობს აქ არსებულ სხვადასხვა სექციაში. წლევანდელ სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის მიხედვით გათვალისწინებულია, მოეწყოს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ლელობურთში, ტყვიის სროლაში, ხელბურთში, ჭადრაკში, შაშში, თავისუფალ ჭიდაობაში.

ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. გოგოლი სიამოვნებით გვიამბობს საწარმოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა წარმატებებზე, ქებით იხსენიებს დირექტორს დ. მაღალაშვილს, რომელიც ფიზკულტურასა და სპორტში ამ ქარხნის ყველა წარმატებათა სული და გულია, უნარიანად ხელმძღვანელობს ფეხბურთის საქალაქო ფედერაციასაც. თ. გოგოლმა დაგვისახელა მოწინავე სპორტსმენები: მძლეოსანი ვ. ქავთარაძე, მოკრივეები თ. ძნელაძე, ს. სეიდაჯიევი, ლელობურთელები მ. ნიშნიანიძე, თ. გვასალია, თ. ხარსია, რ. სიჭინავა, მოჭიდავეები: კ. აფშილავა, მ. შუბითიძე, ა. მურვანიძე. თქვა, რომ ქარხნის გუნდები მონაწილეობენ საქალაქო მასშტაბით გამართულ ყველა შეჯიბრებაში და არც თუ წარუმატებლად. თ. გოგოლთან საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ოთახში ხანშიშესული მამაკაცი შემოვიდა და განაწყენებულმა მოგვმართა:

— ეს საქმეა? მთელი დღე დავეძებ მინი-ფეხბურთში ქარხნის ჩემპიონი საამქროს დასაჯილდოებელ თასს და მაღაზიებში შესაფერი ვერაფერი ვნახე. სპორტულ მაღაზიაში მხოლოდ წყალში მხტომელთათვის გადასაცემი ჯილდოებია და სპორტის ეს სახეობა ყველას კარგად მოეხსენება, ჩვენს ქალაქში დანერგილიც არ არის.

ცამდე მართალი აღმოჩნდა გ. ჟორდანია, ქარხნის პროფორგანიზაციის თავმჯდომარე, ფიზკულტურასა და სპორტზე დიდად შეყვარებული ადამიანი. ამაში სულ მალე დავრწმუნდით, როცა სპორტული მაღაზია დავათვალიერეთ. ეს სავაჭრო ობიექტი ძალიან ღარიბულად გამოიყურება — არა აქვთ საჭირო ინვენტარი, სპორტული ტანსაცმელი და სხვა საქონელი.

მასპინძლებს რომ დავემშვიდობეთ და ქარხნის სპორტულ კომპლექსს გვერდით ჩავუარეთ, საღამო ხანი იყო და იქ უკვე გაეჩაღებინათ ვარჯიში საწარმოს კალათბურთელებს.

...ფოთის გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა სახელი გაითქვა არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. ამ საწარმოს მიერ შექმნილი ხომალდი „კომეტა" ყველგან დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქარხნის ეზოში აღმართულ დაფაზე აღნიშნულია ის ქვეყნები, რომელთა შეკვეთებსაც ქარხანა ასრულებს. ქარხნის დირექტორ ზ. არჩაიძესთან საუბარი ხანმოკლე გამოდგა: დიდი დრო ვერ წავართვით საქმეში ყელამდე ჩაფლულ კაცს, რომელსაც ჩვენთან საუბარს ტელეფონის ზარი ხშირად აწყვეტინებდა. დირექტორისგან მოსმენილ პატარა ინფორმაციაშიც ნათლად ჩანდა მისი დაუოკებელი სიყვარული ფიზკულტურასა და სპორტისადმი. ჩვენ ეს არც გაგვკვირვებია, რადგან ზ. არჩაიძე წარსულში ჩინებული კალათბურთელი, ქალაქის ნაკრების მოთამაშე, ამჟამად სპორტის ამ სახეობის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარეა. ძალიან უყვართ სპორტი საწარმოშიც, სადაც ამ საქმით „დაავადებულია" 800-მდე კაცი. ყოველწლიურად გამართულ საქარხნო სპარტაკიადებს 600-ზე მეტი მონაწილე ჰყავს, მუშაობს ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, შაშის სექციები. ტარდება სპორტული კვირეული ოთხ სახეობაში — მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში.

ქარხნის სპორტსმენთა წარმატებებზე სიამოვნებით გვესაუბრა პარტორგანიზაციის მდივანი ო. ხუხუნი, რომელიც ამავე დროს შაშის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეც არის.

**— ჩვენ მაშინ ვაფასებთ ახალგაზრდას, როცა იგი საწარმოო ნორმებსაც კარგად ასრულებს და სპორტშიც ხელშესახები წარმატებები აქვს, — გვიამბობს ო. ხუხუნი, — ჩვენი სპორტსმენები წარმატებით იცავენ ქარხნის, ქალაქისა და რესპუბლიკის სახელს სხვადასხვა საპასუხისმგებლო ასპარეზობებში. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. საკმარისია დავასახელოთ მძლეოსნები გრეტა ბერაია, სოფიო აბდულაევა, ძმები ი. და გ. თოფაძეები, რესპუბლიკის ნაკრების წევრი აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სპორტის ოსტატი ნ. პოლიუშჩენკო, სახანძრო-გამოყენებითს სპორტში ასევე საქართველოს ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი გ. ბუკია, მოშაშე დარეჯან ასანოვა და ბევრი სხვა. წარმატებით გამოვდივართ საქალაქო პირველობებზე. ქარხნის ფეხბურთელთა გუნდი ყოველთვის საპრიზო ადგილს იკავებს ფოთის ჩემპიონატში, პირველები ვართ მშდ-ს მრავალჭიდში, მესამე — კალათბურთში. სპორტული ბაზებით განებივრებული არა ვართ, მაგრამ არის კარგი პერსპექტივა — მშენებლობის პროცესშია სტადიონი, რომელიც წლის ბოლოსთვის უნდა ჩადგეს მწყობრში.**

**...საამქროებში** გუგუნებს მანქანა-დანადგარები, ჯანმაგარი ახალგაზრდები თავდადებით შრომობენ. მათი ნახელავი კომფორტაბელური „კომეტები" ოკეანეებსა და ზღვებში ლაღად ნავარდობენ, სახელსა და დიდებას უხვეჭენ ფოთელ გემთშემკეთებლებს.

### ფეხბურთი, ფეხბურთი...

**წარმოუდგენელია** ფოთი ფეხბურთის გარეშე. და არცაა გასაკვირი, რომ სპორტის ამ სახეობით გატაცებულია დიდი თუ პატარა. ამ ქალაქმა ხომ ქართულ ფეხბურთს მისცა ბ. პაიჭაძე, გ. გაგუა, ვ. ანთაძე, ა. ხარბედია, ვ. ჯორბენაძე, ე. ნიკოლაიშვილი და სხვა. მართალია, ბოლო წლებამდე ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდას ნაკლები ყურადღება ექცეოდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ამ ქალაქის პირველი გუნდი „კოლხეთი" წარუმატებლად გამოდიოდა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, მაგრამ ბოლო წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, მეტი ყურადღება მიექცა სპორტის ამ სახეობას. „კოლხეთი" წელს უკვე მოწინავეთა რიგებშია და ერთ-ერთ საპრიზო ადგილს უმიზნებს. კარგად მუშაობს ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (დირექტორი თ. ადამია), სადაც 220-მდე ბავშვია გაერთიანებული.

...გაგვაკვირვა ცენტრალურ სტადიონზე ნორჩების სიმრავლემ. რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი პატარა ფეხბურთელები გულისყურით ასრულებდნენ მწვრთნელების დავალებას.

— ჩვენთან კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, — გვითხრა სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ო. ხომერიკამ. „კოლხეთის" ფეხბურთელებმა ივალდებულეს საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშონ ნორჩები. რა სასიამოვნო სანახავი იყვნენ პატარები, რომლებიც თვალებში შესციცინებდნენ გამოცდილ ფეხბურთელებს, ძმებს მ. და ს. ფილიებს, ნ. ტყებუჩავას, რ. ლოლუას, გ. ჩემინავას. კარგი იქნება თუ ეს საჭირო წამოწყება რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც დაინერგება. მაშინ თითებზე ჩამოსათვლელი აღარ იქნება ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელები.

• • •

**წლევანდელი** სპორტული სეზონის ნახევარიც არ მიწურულა, მაგრამ ფოთელმა სპორტსმენებმა უკვე ბევრჯერ ისახელეს თავი. ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირში — „მეგობრობა" ამ ქალაქის გუნდმა მესამე საპატიო ადგილი დაისაკუთრა. ა. გუბელაძე პირველი იყო რუსთავში გამართულ ასუჯრიან შაშის ტურნირში, რუსულ შაშში საქართველოს პირველობაში 1-3 ადგილები გაიყვეს ფოთელმა გოგონებმა — ნ. ფაილოძემ, ნ. ნასარაიამ, ლ. ფინიკოპულომ. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ფოთელმა ნიჩბოსნებმა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ესენი არიან ლ. ხუსკივაძე, ა. სტრენგი, ი. ტაფაძე, თ. შონია, ა. ბერაია, ნიჩბოსანთა რესპუბლიკურ ნაკრებში შეყვანილი არიან თ. შონია, ა. ბართაია, გ. ცხომარია, გ. ტაფაძე, ვ. ზადოროჟენი და სხვა.

ფოთის სპორტის მოყვარულები, ენთუზიასტები, ამ ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაცია მუდამ გრძნობენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერას, რაც იმის საწინდარია, რომ სულ მალე ფოთელ სპორტსმენთა ახალი გამარჯვებების მოწმენი გავხდებით. ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოები მეტ ყურადღებას გამოიჩენენ ამ ქალაქში არსებულ მათზე დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიმართ.

ცხენოსნობაში რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონატი ფოთის იპოდრომზე ჩატარდა. მონაწილეთა, სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა სარბიელის ჩინებულმა გრუნტმა. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ იპოდრომის 20-ჰექტარიანი ტერიტორია კეთილმოუწყობელია. კარგი იქნება თუ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი მოაგვარებს ამ საკითხს, რაც იმის საწინდარი იქნება, რომ ფოთის ცხენოსნობის ეს უძველესი კერა კვლავ იქნება უძლიერესი მხედრების სამჭედლო, ამასთან ერთად რესპუბლიკის ცხენოსანთა ნაკრებ გუნდს საშუალება ექნება საწვრთნელი შეკრებები ჩაატაროს ამ ჩინებულ სპორტულ ბაზაზე.

ფოთის სპორტის მესვეურებს ისიც აწუხებთ, რომ ქალაქს არ გააჩნია საცურაო აუზი, სადაც რეგულარულ წვრთნას გაივლიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც აქ ასობით არიან და მხოლოდ მდინარე რიონსა და შავ ზღვაში არაორგანიზებული მეცადინეობით იოკებენ თავიანთ სურვილს.

ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციას ძალა ერჩის, რომ უფრო დიდ საქმეებსაც შეეჭიდოს, ამის საწინდარია ქალაქის მესვეურთა, ფიზკულტურულ მუშაკთა სიბეჯითე და შემართება.

**ზ. ჯაფარიძე,**
(ჩვენი სპეც. კორ.).
ფოთი.

• • •

**სურათებზე:** ფოთის სანიჩბოსნო ბაზაზე ყოველდღიურად ათობით ახალგაზრდა იკაჟებს სხეულს, ოსტატდება, ემზადება საპასუხისმგებლო ასპარეზობებისთვის; „კოლხეთის" ფეხბურთელი ი. ფილია თავის აღსაზრდელებთან.

ა. კოტრაშვილის ფოტოები.

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

…ოგვყავს სსრ კავშირის საფეხ-…თო ჩემპიონატის IX ტურის …ნიკური შედეგები.

…სპარტაკი“ — „ლოკომოტი-… 1:0. გოლი პენალტით გაიტა-…გავრილოვმა. მინდვრიდან გაა-…ს სპარტაკელი ხიდიატულინი. …რთხილება მიიღეს მისმა თანა-…ბელმა სოროკინმა და ლოკო-…ტიველმა ხუდიევმა.

…ფახთაქორი“ — „ჩერნომო-…ეცი“ 1:1. ტაშკენტელი ფიოდორ-…ს მიერ 47-ე წუთზე გატანილი …რთი მატჩის დასასრულს გაქ-…ა სოკოლოვსკიმ. „ფახთაქორის“ …დამსხმელმა მაკაროვმა ვერ გა-…ყენა პენალტი, როცა მისი გუ-… წინ იყო. გაფრთხილებულია …ესელი ნეჩაევი.

…შახტიორი“ — „არარატი“ … ორივე ბურთი გატანილი იქ-…ლატიშის მიერ 85-ე და 86-ე …თებზე (პირველი — პენალ-…ი). გაფრთხილებულია ერევნე-… გევორქიანი.

…ზენიტი“ — „ზარია“ 1:1. ან-…იში 11-მეტრიანი დარტყმით …ხნა ლენინგრადელმა ს. კუზნე-…ვმა, საპასუხო ბურთი გაიტანა …როშილოვგრადელმა ვ. კუზნე-…ვმა.

## უმაღლესი ლიგა

„დნეპრი“ — „ნეფთჩი“ 8:1. ამ მატჩში დაწინაურდნენ ბაქო-ელები (შიხლაროვი), შემდეგ უსე-ნკომ, კუცევმა და კვლავ უსენკომ სამჯერ აიღეს ბაქოელთა კარი.

„ტორპედო“ — „დინამო“ მ. 0:0.

„დინამო“ კ. — ცსკა 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 9 | 6 | 2 | 1 | 11—7 | 14 |
| „შახტიორი“ | 8 | 5 | 1 | 2 | 11—6 | 11 |
| ცსკა | 9 | 5 | 1 | 3 | 11—9 | 11 |
| „ჩერნომორეცი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 11—7 | 11 |
| „ფახთაქორი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 17—12 | 10 |
| „ტორპედო“ | 9 | 3 | 4 | 2 | 11—7 | 10 |
| „ზენიტი“ | 9 | 3 | 4 | 2 | 10—11 | 10 |
| „დინამო“ მ. | 8 | 3 | 4 | 1 | 9—6 | 10 |
| „დინამო“ კ. | 9 | 3 | 4 | 2 | 8—5 | 10 |
| „ზარია“ | 9 | 3 | 2 | 4 | 11—10 | 8 |
| „ქაირათი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 9—13 | 8 |
| „არარატი“ | 9 | 3 | 1 | 5 | 4—9 | 7 |
| „ლოკომოტივი“ | 9 | 1 | 5 | 3 | 8—11 | 7 |
| „სპარტაკი“ | 9 | 2 | 2 | 5 | 7—13 | 6 |
| „ნეფთჩი“ | 9 | 2 | 1 | 6 | 4—10 | 5 |
| „დნეპრი“ | 9 | 2 | 0 | 7 | 5—11 | 4 |

## ფეხბურთი

### I ლიგა

# მიზანი კი ახლოს იყო

…ქუთაისი. ცენტრალური სტადი-…ნი. 29 მაისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — ასკ …ოსტოვი) 0:0.

„ტორპედო“: მჭედლიძე, სვა-…ძე, სულაქველიძე, მელიქია, ფა-…ულავა, ოქროპირაშვილი, ბურკა-…ე (ა. კვერნაძე), ქვირია, ფესტვე-…იძე, შელია (გაბიჩვაძე), ხუცუ-…ული.

ასკ: რადაევი, გონჩაროვი, ანდ-…იუშჩენკო, იაშინი, ბონდარენკო, …ესევი, კრივჩუნი, შტურმინი, ბე-…იოზინი (მედვედი), სელინი (ხა-…ჩენკო), ბობკოვი.

…მსაჯი ა. ბუროვი (ლენინგრადი).

…დუბლიორები — 2:0.

ქუთაისის „ტორპედო“, რომე-…ც ლიდერთა შორის იმყოფება, …ტურნირო მდგომარეობის განმ-…ტკიცების მიზნით თავიდანვე გა-…აჩქარებისა და ბრძოლის წყურვი-…ით გამოვიდა მინდორზე. მთელი …ატჩის მსვლელობის დროს მასპი-ნძლებს გამუდმებული იერიშები მიჰქონდათ მეტოქეთა კარზე,. მაგ-რამ უშედეგოდ. ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა შეიქმ-ნა თამაშის 38-ე წუთზე, როცა შელია ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა მეკარის მოედანზე. ამას მოჰყვა 42-ე წუთზე როსტოველთა კარის მძლავრი შტურმი, რაც მე-ლიქიას მიერ შორი მანძილიდან შესრულებული მოულოდნელი, ძლიერი დარტყმით დამთავრდა. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. 75-ე წუთზე ა. კვერნაძის გარღვევის საწინააღმდეგოდ როსტოველთა მცველმა საჯარიმო მოედანზე აკრ-ძალული ილეთი იხმარა და მსაჯ-მა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრი-ანი საჯარიმო დარტყმა, მაგრამ ფარულავას დარტყმული ბურთი მოიგერია რადაევმა.

ორივე გუნდმა მონდომებული, ლამაზი თამაში აჩვენა და თანაბ-რად გაიყო ქულები.

**ლ. ფაჩუაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

• • •

აი რა უთხრა ჩვენს კორესპონ-…დენტს განვლილი ორთაბრძოლის …შესახებ საქართველოს ფეხბურთის …ამმართველოს უფროსმა ავთან-…დილ ჭკუასელმა, რომელიც ესწ-…რებოდა ამ მატჩს:

— როსტოველთა გუნდი, მოგეხ-…სენებათ, დიდი ტრადიციების …მქონე კოლექტივია და წლების …განმავლობაში უძლიერესთა ჯგუ-…ფში გამოდიოდა. ქუთაისის მატ-…ჩმა, რომელიც, სიტყვამ მოიტა-…ნა და უნდა აღინიშნოს კიდეც, …კარგად წარმართა ლენინგრადელ-…მა არბიტრმა ა. ბუროვმა, დაგვანახა, …რომ არმიელთა გუნდი აშკარადაც …კარგად გამოიყურება. იგი ერთნა-…ირად ძლიერია ყველა რგოლში — …როგორც ტექნიკურად, ასევე ტაქ-…ტიკურად თუ ფიზიკურად. სასი-…ხარულოა, რომ ქუთაისელთა ახა-…ლგაზრდა გუნდმა, რომელსაც ახ-…ლა სათავეში უდგას ახალგაზრდა …მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი, …ყველა რგოლში დაჯაბნა მეტოქე.

რაც შეეხება მატჩის მოგებას, უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს ამ დღეს, რომ იტყვიან, სპორტუ-ლი ბედი არ წყალობდათ: ჩვენს გუნდს 7-8 აშკარა საგოლე მომენ-ტი მაინც ჰქონდა, დაუმატეთ ამას თამაშის ბოლოს გამოუყენებელი 11-მეტრიანი საჯარიმო და გასაგე-ბი იქნება გუნდის გულშემატკი-ვართა გულისტკივილი, რომლებმაც პირთამდე აავსეს სტადიონი. თა-მამად შემიძლია განვაცხადო, რომ ქუთაისის გუნდს შესაფერისი კვა-ლიფიციური მაყურებელი ჰყავს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ ქუთაისის „ტორპედოსთვის“ საქართველოს სპორტკომიტეტთან ერთად დიდად ზრუნავენ რესპუბ-ლიკის პროფსაბჭო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოე-ბი. მჯერა, რომ ქუთაისელი ფეხ-ბურთელები კიდევ მრავალჯერ გა-ახარებენ გულშემატკივრებს და კვლავ უძლიერესთა რიგებს დაუბ-რუნდებიან.

### პირველი ლიგა

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კრი-ლია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ყუ-ბანი“ (კრასნოდარი) 1:1, „დინა-მო“ (მინსკი) — „კუზბასი“ (კე-მეროვო) 1:1, „ჟალგირისი“ (ვილ-ნიუსი) — „ურალმაში“ (სვერდლო-ვსკი) 0:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „თერგი“ (გროზნო) 1:1, ასკ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ორჯონი-კიძე) 1:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0, „სპარტა-კი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „კო-ლხოზჩი“ (აშხაბადი) 5:3, „ტავ-რია“ (სიმფეროპოლი) — „მეტა-ლურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ“. | 11 | 7 | 2 | 2 | 14—6 | 16 |
| „ყუბანი“ | 11 | 6 | 4 | 1 | 18—8 | 16 |
| „ნისტრუ“ | 11 | 6 | 3 | 2 | 15—11 | 15 |
| „ტავრია“ | 11 | 5 | 4 | 2 | 19—11 | 14 |
| „დინამო“ მნ. | 12 | 5 | 4 | 3 | 18—13 | 14 |
| „ტორპედო“ | 11 | 5 | 4 | 2 | 17—12 | 14 |
| „კარპატი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 13—10 | 13 |
| ასკ რ. | 11 | 4 | 5 | 2 | 16—11 | 13 |
| „ჟალგირისი“ | 12 | 3 | 7 | 2 | 14—11 | 13 |
| „თერგი“ | 12 | 5 | 2 | 5 | 15—18 | 12 |
| „სპარტ.“ ი.-ფ. | 11 | 5 | 2 | 4 | 14—18 | 12 |
| „შინიკი“ | 12 | 3 | 5 | 4 | 8—12 | 11 |
| „კუზბასი“ | 11 | 4 | 2 | 5 | 12—12 | 10 |
| „პამირი“ | 12 | 1 | 8 | 3 | 7—10 | 10 |
| ასკ ოდ. | 11 | 3 | 3 | 5 | 10—13 | 9 |
| „სპარტ.“ ორ. | 12 | 3 | 2 | 7 | 9—13 | 8 |
| „ურალმაში“ | 11 | 3 | 2 | 6 | 6—13 | 8 |
| „კოლხოზჩი“ | 12 | 1 | 5 | 6 | 11—19 | 7 |
| „მეტალურგი“ | 11 | 1 | 5 | 5 | 7—14 | 7 |
| „დინამო“ ლ. | 12 | 1 | 4 | 7 | 11—19 | 6 |

# დიდი არჩევანი

### შოტლანდიელები მსოფლიო ჩემპიონატებში

**1954** — ავსტრიასთან 0:1, ურუ-გვაისთან — 0:7.

**1958** — იუგოსლავიასთან 1:1, პარაგვაისთან 2:3, საფრანგეთთან 1:2.

**1974** — ზაირთან 2:0, ბრაზი-ლიასთან 0:0, იუგოსლავიასთან 1:1.

შოტლანდია 1946 წლიდან ფი-ფა-ს წევრია. ამ ქვეყანაში 3874 კლუბი და 117 ათასი ფეხბურთე-ლაა. ძირითადი საფეხბურთო ძა-ლები დიდხანს კონცენტრირებუ-ლი იყო ქალაქ გლაზგოში („გლა-ზგო რეინჯერსი“ წელს მეორმოცე-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, რაც მსოფლიო რეკორდია. „სელტიკი“ — 28-ჯერ), ამ ბოლო წლებში კი საუკეთესო შოტლანდიელმა ოს-ტატებმა ინგლისის კლუბებში გა-დაინაცვლეს. საყურადღებოა, რომ როდესაც ამას წინათ ნაკრების მწვრთნელმა მაკლეოდმა არგენტი-ნაში გამგზავრების 24 კანდიდა-ტის სია გამოაქვეყნა, მას საამისოდ სრულიადაც არ დასჭირდა წამყ-ვან შოტლანდიელ სპეციალისტებ-თან კონსულტაცია — 18 მათგანი ხომ ინგლისის პირველი ლიგის კლუბებში თამაშობს!

ეს უკვე ზედიზედ მეორე მსო-ფლიო ჩემპიონატია, როდესაც ინ-გლისელები ფინალში ვერ გადიან და შოტლანდიელები დიდი ბრი-ტანეთის ერთადერთი წარმომად-გენლები არიან. ამასთან წინა მსო-ფლიო ჩემპიონატიდან შოტლანდი-ელებს მეტად უსიამოვნო მოგონე-ბები გამოჰყვათ. მართლაც და მე-ტად იშვიათად ხდება, რომ დაუ-მარცხებელმა გუნდმა დატოვოს შეჯიბრება. მაშინ ბურთების უკე-თესი შეფარდების გამო მეოთხედ-ფინალში იუგოსლაველები გავი-დნენ. ყველაფერი იმ გარემოებამ გადაწყვიტა, რომ შოტლანდიე-ლებმა უფრო მოკრძალებული ან-გარიშით მოუგეს ზაირელებს (პირ-ველ ტურში ხომ ყველა განსაკუ-თრებული მონდომებით თამაშობს!), ვიდრე იუგოსლაველებმა.

შოტლანდიის ახლანდელი ნაკ-რები ძლიერად და სტაბილურად თამაშობს, აი მისი შედეგები 1977-78 წლებში: გლაზგოში მან სძლია შვედებს — 3:1 (გოლები გაიტანეს ჰართფორდმა, დალგლიშმა და გრე-იგმა), შემდეგ დიდი ბრიტანეთის პირველობაზე მეტოქის მინდორზე ფრედ 0:0 ითამაშა უელსელებთან, გლაზგოში ამავე ტურნირში სძლია 3:1 ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს (ორი გოლი გაიტანა დალგლიშმა, ერთი — მაკ კინმა), ლონდონში დიდი ბრიტანეთის პირველობის გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 2:1 მოუგო ინგლისელებს (გოლები — მაკ კინი და დალგლიში) და ჩემ-პიონობა მოიპოვა. სანტ-იაგოში შოტლანდიელებმა ანგარიშით 4:2 მოუგეს ჩილელებს (გოლები — დალგლიში, რაიჩი, ჰართფორდი, მაკარი), ბუენოს-აირესში ფრედ 1:1 ითამაშეს არგენტინელებთან (გოლის ავტორია მესონი), რიო-დე-ჟანეიროში წააგეს 0:2 ბრაზილიე-ლებთან, ბერლინში — გდრ-ის ნაკრებთან 0:1, გლაზგოში 3:1 სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს (ბურ-თები გაიტანეს დალგლიშმა, ჯორ-დანმა და ჰართფორდმა), ლივერ-პულში — ანგარიშით 2:0 უელსე-ლებს (ბურთები გაიტანეს მესონ-მა და დალგლიშმა). წელს 22 თე-ბერვალს, ასევე გლაზგოში შოტ-ლანდიელებმა ანგარიშით 2:1 მო-უგეს ამხანაგური მატჩი ბულგარე-ლებს. ბურთები გაიტანეს ჯემელ-მა და უოლესმა.

ერთი სიტყვით, ნაკრები აშკარა აღმავლობის გზაზეა. ამას დაერ-თო შოტლანდიელთა (და არა მარ-ტო შოტლანდიელთა!) აზრით, მე-ტად ხელსაყრელი წილისყრა. „დე-ილი ექსპრესი“ წერდა: „ეს გახლ-დათ ყველაზე უფრო იღბლიანი წილისყრა, რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო!“ „დეილი მეილის“ მიმომხილველი ამტკიცებს, რომ „თუ ისეთი წილისყრის მიუხედა-ვად შოტლანდიელები მეორე ფი-ნალურ ჯგუფში ვერ მოხვდებიან, ისინი ნამდვილ თავლაფს დაისხა-მენ“. შოტლანდიელთა მწვრთნელ-მა მაკლეოდმა განაცხადა, რომ გუნდს მშვენიერი შესაძლებლობა აქვს მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის ისტორიაში პირვე-ლად მიაღწიოს მეოთხედფინალს.

შოტლანდიის ნაკრებმა შეკრება მხოლოდ 29 აპრილს დაიწყო და ისიც რამდენიმე წამყვანი მოთა-მაშის გარეშე, რომლებსაც ჯერ კიდევ ელოდათ მატჩები ინგლისის გუნდებში. ამხანაგური შეხვედრე-ბის ნაცვლად შოტლანდიელები დიდი ბრიტანეთის ტრადიციულ ჩემპიონატში ჩაებნენ.

კარს სისტემატურად იცავს 25 წლის რაფი („პარტიკ ფისთლი“, 16 მატჩი ნაკრებში). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისი თამაშით კმა-ყოფილი არ იყო ნაკრების აღრი-ნდელი მწვრთნელი ორმონდი, იგი-ვე აზრისაა მაკლეოდიც, მაგრამ უკეთეს მეკარეს ვერ პოულობს. კანდიდატად ითვლება, აგრეთვე, 24 წლის ბლიტი („კოვენტრი სი-ტი“, 1 მატჩი ნაკრებში).

დაცვაში შოტლანდიელებს მე-ტად საიმედო ოსტატები ჰყავთ. მარჯვნივ თამაშობს ფრიად გამო-ცდილი მაკგრეინი „სელტიკიდან“. 28 წლის მაკგრეინი ნაკრების ერთ-ერთი ვეტერანია. მის შემადგენლო-ბაში 40 მატჩი აქვს ჩატარებული. მაკგრეინი წლების განმავლობაში თამაშობს მსოფლიოს საუკეთესო გარემარბების წინააღმდეგ და წა-რმატებითაც. მარცხნივ, ეტყობა, ითამაშებს 27 წლის დონეჩი „მან-ჩესტერ სიტიდან“, ისიც ფრიად გამოცდილია, 28 მატჩი ითამაშა ნაკრებში.

ან „ლიდს იუნაიტედში“ … შე ედვარდ გრეი, მისი თანაკლუ-ბელი ფრენკ გრეი, ბერნსი („ნო-ტინჰემ ფორესტი“), ან სიუნესი („ლივერპული“).

რაც შეეხება თავდასხმას, აქ პი-რველ რიგში უნდა აღინიშნოს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი დალგლი-ში („ლივერპული“, 27 წლის, 51 მატჩი). დალგლიში კარგა ხანს დიდი წარმატებით თამაშობდა „სე-ლტიკში“, მაგრამ თავისი პოპულა-რობის მწვერვალს მაინც 1977-78 წლების სეზონში მიაღწია, როდე-საც მიწვეულ იქნა „ლივერპულში“ კიგანის ნაცვლად (იგი „ჰამბურ-გერ შპორტფერაინში“ გადავიდა). დალგლიშის თამაშმა „ლივერპულ-ში“ ყოველგვარ მოლოდინს გადა-აჭარბა. აქ იგი ყველაფერს აკე-თებს: პარტნიორებს უნარიანად ხელმძღვანელობს და ბევრი გოლიც გააქვს. „ლივერპულის“ ხელმძღვა-ნელობამ განაცხადა, რომ დალგლი-ში კიგანზე უკეთესი ფეხბურთელია და ამ კლუბის დიდებული შენა-ძენი. თავისი პირველი ბრწყინვა-ლე სეზონი „ლივერპულში“ შოტ-ლანდიელმა ფეხბურთელმა ღირსე-ულად დაამთავრა ლონდონის „უემ-ბლის“ სტადიონზე ევროპის ჩემ-პიონთა თასის ფინალურ მატჩში „ბრიუჟის“ წინააღმდეგ გატანილი გოლით, რამაც ინგლისელებს ეს

## მსოფლიო თასი უხმობს რჩეულებს

●

**მეოთხე ჯგუფი: ჰოლანდია. ირანი. პერუ. შოტლანდია**



შოტლანდიელებს ფაქტიურად ოთხი ტოლფასოვანი ცენტრალური მცველი ჰყავთ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ საბრძოლო მზადყოფნას გამოიჩე-ნენ ისინი. 29 წლის ბუჩანი და 26 წლის მაკ კინი „მანჩესტერ იუნა-იტედში“ თამაშობენ. ბუჩანს 26 მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრებში. ფრიად ახოვანი მაკ კინი (18 მატ-ჩი ნაკრებში) ცნობილია იმით, რომ მარჯვედ ერთვის იერიშში და გოლებიც გააქვს. ამ წყვილს ტოლს არ უდებს ორი შესანიშნავი მცვე-ლი „გლაზგო რეინჯერსიდან“ ფორ-საითი და ჯარდინი. ფორსაითი 29 წლისაა, ნაკრებში 16 მატჩი აქვს ჩატარებული. ჯარდინი 30 წლი-საა, ნაკრებში 32-ჯერ ითამაშა.

ერთი სიტყვით, მაკლეოდმა ერთ-გვარი არჩევანი უნდა მოახდინოს, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს იგი, შოტლანდიის ნაკრებში დაც-ვა მტკიცე იქნება. ამაში ახლა ეჭ-ვი არავის ეპარება.

შუა ხაზი ჩინებული ოსტატებით იქნება დაკომპლექტებული. აქ მწვრთნელს მართლაც რომ დიდი არჩევანი აქვს. უკანასკნელ მატჩებ-ში მაკლეოდი უპირატესობას აძ-ლევდა რაიჩ—მესონ—ჯემელის სამე-ულს. სამივე გუნდის ვეტერანებს მიეკუთვნება. მესონი („დერბი ქა-უნთი“) 32 წლისაა, ნაკრებში 14-ჯერ ითამაშა. რაიჩი მესონის თა-ნაკლუბელია, მასზე ორი წლითაა უმცროსი, ნაკრებში 20 მატჩი ჩა-ატარა. ჯემელი („ნოტინჰემ ფორე-სტი“) 31 წლისაა, ნაკრებში 23-ჯერ გამოვიდა. საინტერესოა, რომ ჯემელმა ჩინებულად წარმართა ინგლისის უკანასკნელი ჩემპიონა-ტი, რომელშიც მისმა გუნდმა, მეორე ლიგიდან მხოლოდ ამ სე-ზონში გადმოსულმა, პირველი ად-გილი დაისაკუთრა. დიდი გამოცდი-ლება აქვთ ჰართფორდსა („მანჩეს-ტერ სიტი“, 28 წლის, 22 მატჩი) და მაკარის („მანჩესტერ იუნაიტე-დი“, 29 წლის, 22 მატჩი). ამ ხუ-თეულის გარდა, რომელსაც დიდად აფასებენ ბრიტანულ ფეხბურთში, მაკლეოდს შეუძლია სხვა ნახევარ-მცველებიც გამოიყენოს. ესენი არი-ან „ლიდს იუნაიტედში“ … თასი შეუნარჩუნა. მოელიან, რომ ამ ცოტა ხანში დალგლიში მოხს-ნის შოტლანდიის ნაკრებში გამოსვ-ლის რეკორდს, რომელიც ლოუს (55 მატჩი) ეკუთვნის.

დალგლიშის გარდა, ნაკრებს სხვა მაღალი კლასის ფორვარდებიც ჰყავს. თავით თამაშის ოსტატი ჯორდანი („მანჩესტერ იუნაიტე-დი“, 27 წლის, 28 მატჩი) კარ-გად არის შეთამაშებული დალგ-ლიშთან. დიდ ყურადღებას იპყ-რობს 23 წლის ენდრიუ (ენდი) გრეი. იგი „ასტონ ვილაში“ გამო-დის, სადაც ბევრი გოლი გააქვს. გრეის (4 მატჩი ნაკრებში) შოტ-ლანდიის ნაკრების ადრინდელმა მწვრთნელმა ორმონდმა მიაქცია ყურადღება, მაგრამ იგი ჩეხოსლო-ვაკიის ნაკრებთან შეხვედრისას მინდვრიდან გააძევეს და ამიტო-მაც მსოფლიო პირველობის მომდე-ვნო შესარჩევ მატჩებში ვერ მიი-ღო მონაწილეობა. გრეი, დიდებუ-ლი დრიბლიორი და ხნაიპერი, ახ-ლა ფრიად შესამჩნევი ფიგურაა ბრიტანულ ფეხბურთში და მის პი-რველ გამოსვლას მსოფლიო ჩემ-პიონატში ექსპერტები დიდი ინტე-რესით მოელიან.

დალგლიშით, ჯორდანითა და გრე-ით არ ამოიწურება შოტლანდიელ ფორვარდთა სია. უნდა აღინიშნოს უ. ჯონსტონი, რომელიც ოდესღაც „სელტიკში“ გამოდიოდა და 1967 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიო-ნთა თასს დაეუფლა. დღეს იგი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ფეხ-ბურთელია. 32 წლის ჯონსტონმა (19 მატჩი ნაკრებში) შეინარჩუნა თავისი ძალა. მსოფლიო ჩემპიო-ნატისთვის ემზადებიან, აგრეთვე, გრეჰემი („ლიდს იუნაიტედი“, 26 წლის. 1 მატჩი), ჰარპერი („აბე-რდინი“, 30 წლის, 3 მატჩი), პარ-ლეინი („გლაზგო რეინჯერსი“ 25 წლის, 12 მატჩი).

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ შოტლანდიის ნაკრები უყოყმანოდ უნდა მოხვდეს მეორე ფინალურ ჯგუფში. უფრო მეტიც, მას შესაძ-ლებლობა აქვს იბრძოლოს საპრიზო ადგილისთვის.

**გ. თორაძე.**



ამას წინათ თბილისში, სპორტკლუბ „სინათლეს" საჭიდაო დარბაზში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „სპარტაკის" ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების უმცროსი და უფროსი ასაკის გუნდების ტურნირი. ორივე ასაკობრივ ჯგუფში მასპინძლებმა იმარჯვეს.

სურათებზე: ბაქოელ ა. ავეალიევისა და თბილისელ ი. ლონდარიძის (ზემოდან) შეხვედრაში სუფთა გამარჯვება მოიპოვა ლონდარიძემ; ტურნირის მონაწილენი მარცხნიდან — რ. ეგანიანი (ერევანი), მ. ჩაბრაშვილი (თბილისი) და რ. ტარიველდიევი (ბაქო).

ე. ხუცურაულის ტექსტი და ფოტოები.



## ჭადრაკი

### დაწინაურდა ხუგაშვილი

**ქუთაისი, 30 მაისი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ საქართველოს ქალთა პირველობის მონაწილეებმა ჯერ დაამთავრეს წინადღით გადადებული პარტიები, მერე გაითამაშეს VIII ტურის შეხვედრები.

ოსტატმა თ. ხუგაშვილმა მოუგო ქ. მელაშვილს (ორივე — თბილისი). დაზავდნენ ი. აბზიანიძე (ქუთაისი) — ლ. თანდაშვილი (თბილისი).

VIII ტურში ხუგაშვილმა დაამარცხა ნ. შეყილაძე (ტყიბული), ც. ქასოშვილმა (გორი) — ნ. იმნაძე (მახარაძე) და ხ. გურგენიძემ (რუსთავი) — თანდაშვილი. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. გოგია (ცხაკაია) — ლ. ფაჩუაშვილი (ქუთაისი).

სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა: ც. კახაბრიშვილმა (თბილისი) გადადო პარტია მ. ჭირაქაძესთან, თ. მესხმა (ორივე — ქუთაისი) — მ. წერეთელთან და ც. კობაიძემ — ნ. მელაშვილთან. არ შედგა ნ. მუსერიძე — ლ. ბელოზიოროვას (ყველა — თბილისი) შეხვედრა.

8 ტურის შემდეგ დაწინაურდა თ. ხუგაშვილი — 6,5 ქულა. მას კვალში მიჰყვება ც. კახაბრიშვილი — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია (I ტურის შესახებ გაზეთებში შეცდომით იყო აღნიშნული თითქოს კახაბრიშვილი — თანდაშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა. სინამდვილეში იგი კახაბრიშვილმა მოიგო). 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ც. კობაიძესა და მ. წერეთელს.

**ზ. ბურკაძე,**
პირველობის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

### საუცხოო დასაწყისი

**პოლონეთის** ქალაქ პიოტრკუვ-ტრიბუნალსკში მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორისაა გოგონათა შორის ევროპის თასის მფლობელი, თბილისელი ოსტატი ნანა იოსელიანიც.

5 ტურის შემდეგ ოსტატმა გოგონამ ხელთ იგდო ლიდერობა — 4,5 ქულა. გადადებული პარტიების დამთავრებისას ნანამ მოუგო ცნობილ პოლონელ ოსტატ ა. იურჩინსკას.

ქართველ მოჭადრაკეს კვალში მიჰყვებიან ზ. მაკაი (უნგრეთი) და გ. შმაცინსკა (პოლონეთი) — 4-4.

### 26-ე დიდოსტატი

**კიკინდაში** (იუგოსლავია) ამას წინათ დასრულდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა ლ. სპასოვმა (ბულგარეთი) — 12. იუგოსლაველი საერთაშორისო ოსტატი რ. ნემეტი 11,5 ქულით II ადგილზე გავიდა და საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი (მეორე ბალი) შეასრულა.

ნემეტი იუგოსლავიის 26-ე დიდოსტატი იქნება.

# ჩემპიონია „ავაზა"

**შარშან** სექტემბერში დაიწყო და ახლახან დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების, აგრეთვე, ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების 20 კოლექტივი. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ 2 ჯგუფად: პირველში გამოდიოდა 12, ხოლო მეორეში — 7 გუნდი.

ამ მარათონულ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა თბილისის „ავაზა", რომელმაც წარმატებით განვლო მთელი ტურნირი და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის წოდება (მწვრთნელები ჯ. ჯანელიძე, დ. ხუნდაძე, სკოლის დირექტორი — მ. მესხი). II ადგილზე გავიდა თბილისის „დინამო" (მწვრთნელები ს. აპრესიანი, ბ. სიჭინავა, დირექტორი — ჯ. უშვერიძე). III ადგილი წილად ხვდა თბილისის განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებულ სპორტსკოლას (მწვრთნელები გ მამალაძე, ო. კინწურაშვილი, დირექტორი — შ. მერკვილაძე).

აღნიშნული 3 პრიზიორი მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ზონალურ შეჯიბრებაში, რომელიც აგვისტოში გაიმართება, „ავაზა" სასპარეზოდ მიემგზავრება ანგარსკში, „დინამო" — ლიპეცკში, ხოლო განათლების განყოფილების გუნდი — ფრუნზეში.

გათამაშება ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე, ორგანიზებულად, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მაინც ჰქონდა ადგილი დისციპლინის დარღვევას და მსაჯთა გამოუცხადებლობას მატჩებზე, რაზეც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი „ლელოს" ფურცლებზე.

ვფიქრობთ, შემდგომი შეჯიბრება, რომელიც ასევე სექტემბერში დაიწყება, ჩაივლის უფრო ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე და მისი მონაწილენი მეტ პასუხისმგებლობას გამოიჩენენ. ყველა სკოლას ევალება მსაჯთა კადრების აღზრდის საკითხის წარმატებით გადასაჭრელად წარმოგვიდგინონ მათი გვარები, ვინც ადგილებზე დაინიშნებიან გვერდით მსაჯებად. ეს უნდა დამოწმებული იქნას ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივი კომიტეტების ბრძანებით. ჩემპიონატში მონაწილე თითოეულმა გუნდმა სექტემბრამდე უნდა წარმოადგინოს 6 მსაჯის დემოგრაფიული მონაცემები.

**ი. გოგორაძე.**
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების განყოფილების უფროსი.

### გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავაზა" თბ. | 22 | 19 | 1 | 2 | 45—14 | 39 |
| „დინამო" თბ. | 22 | 16 | 4 | 2 | 48—15 | 36 |
| გან. განყ. თბ. | 22 | 12 | 8 | 2 | 43—16 | 32 |
| „განთ." თბ. | 22 | 13 | 3 | 6 | 44—21 | 29 |
| „დინ." ბათ. | 22 | 7 | 8 | 7 | 25—18 | 22 |
| „ტორპედო" ქ. | 22 | 7 | 8 | 7 | 29—28 | 22 |
| გან. განყ. ბათ. | 22 | 6 | 5 | 11 | 13—39 | 17 |
| ახ. ს. სკ. თბ. | 22 | 4 | 8 | 10 | 15—25 | 16 |
| „ინტერ." თბ. | 22 | 4 | 6 | 12 | 26—34 | 14 |
| „ლოკ." სამტ. | 22 | 3 | 8 | 11 | 27—50 | 14 |
| „დინ." სოხ. | 22 | 4 | 4 | 14 | 15—42 | 12 |
| „გურია" ლ. | 22 | 5 | 1 | 16 | 15—43 | 11 |

II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტ." რუსთ. | 12 | 7 | 3 | 2 | 17—11 | 17 |
| სპორტსკ. ფ. | 12 | 5 | 5 | 2 | 21—15 | 15 |
| „დილა" გორი | 12 | 5 | 4 | 3 | 23—14 | 14 |
| „დინამო" ზ. | 12 | 4 | 3 | 5 | 12—15 | 11 |
| გან. განყ. ქუთ. | 12 | 4 | 3 | 5 | 14—19 | 11 |
| ახ. ს. სკ. თელ. | 12 | 3 | 2 | 7 | 11—18 | 8 |
| გან. განყ. ლაგ. | 12 | 3 | 2 | 7 | 12—18 | 8 |

## ფეხბურთი

# გენერალი იმუქრება

რაც უფრო ახლოვდება 1 ივნისი — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების დღე, მით უფრო მეტი საზრუნავი უჩნდება არგენტინის უშიშროების დეპარტამენტს, რომელიც ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტთანაა შექმნილი. მისმა ხელმძღვანელმა, გენერალმა ბარბიერიმ განაცხადა, რომ გათამაშების მონაწილე თითოეულ გუნდს მიემაგრება არა მარტო არგენტინის პოლიციის გაძლიერებული რაზმი, არამედ კერძო დეტექტივების სპეციალურად შედგენილი ჯგუფიც.

— ამოცანა იმაში მდგომარეობს, — ხაზი გაუსვა გენერალმა, — რომ არ დავუშვათ არც ერთი ინციდენტი მსოფლიოს საფეხბურთო ზეიმის დღეებში.

ბარბიერიმ ისიც აღნიშნა, რომ დღე-ღამის ყველა მონაკვეთში ფეხბურთელები, მსაჯები, აკრედიტებული ჟურნალისტები, ჩემპიონატის საპატიო სტუმრები კანუწყვეტელი ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან. მათთან ურთიერთობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ სპეციალური საშვებით.

პოლიციის თანამშრომლებს დიდი უფლებები მიენიჭათ აღკვეთონ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყოველგვარი ცდა. თუ ფეხბურთის რომელიმე მოყვარული, იქნება ეს არგენტინელი თუ უცხოელი, ჩაიდენს ანტისაზოგადოებრივ საქციელს, მას დაუყოვნებლივ დააპატიმრებენ სულ ცოტა 20 დღის ვადით.

## ჰოკეი

# სტენლის თასი — „მონრეალ კანადიენსს"

**პროფესიული** ჰოკეის ყველაზე საპატიო ჯილდო — სტენლის თასი „მონრეალ კანადიენსმა" მოიპოვა. კანადელებმა ფინალური სერია მოუგეს „ბოსტონ ბრუინზს" (ბოსტონელი დათვები) ანგარიშით — 4:2.

გამარჯვებულის გამოსავლენად 6 შეხვედრა გახდა ჩასატარებელი. როგორც ცნობილია, ფინალური სერია, ისევე როგორც ნახევარფინალური და მეოთხედფინალური ორთაბრძოლები, 4 მოგებამდე გრძელდება. შეხვედრის ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, მატჩი გრძელდება პირველ გატანილ შაიბამდე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტენლის თასის შარშანდელ ფინალშიც სწორედ ეს ორი კლუბი ებრძოდა ერთმანეთს. მაშინ კანადელთა უპირატესობა აშკარა იყო — მათ ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვეს — 2 შინ (7:3, 3:0) და ორიც მეტოქის მოედანზე (4:2, 3:2).

წლევანდელი ფინალური სერია გაცილებით დაძაბულად წარიმართა, თუმცა საკუთარ მოედანზე „მონრეალ კანადიენსის" ორი გამარჯვების შემდეგ (4:1, 3:2 დამატებით დროში), ბევრმა საკითხი გადაწყვეტილად ჩათვალა. მაგრამ „დათვებმა" ბოსტონში ორი მომლევნო მატჩის მოგებით (4:0, 4:3 დამატებით დროში) საერთო ანგარიში გაათანაბრეს — 2:2.

მეხუთე ორთაბრძოლა „კანადიენსმა" საკუთარ მოედანზე ჩაატარა და 18 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დიდი ანგარიშით (4:1) დაამარცხა მეტოქე.

მორიგი შეხვედრა, რომელსაც „ბოსტონ გარდენი" მასპინძლობდა, უკანასკნელი აღმოჩნდა: „დათვებს" გულშემატკივრების დახმარებამაც ვერ უშველა — „კანადიენსმა" გაიმარჯვა და კვლავ ანგარიშით — 4:1.

ამრიგად, სტენლის თასი ზედიზედ მესამედ მოიპოვა პროფესიული ჰოკეის ყველაზე სახელოვანმა და ყველაზე პოპულარულმა კლუბმა, რომელიც წლევანდელ წარმატებამდე ოცჯერ იყო ამ პრიზის მფლობელი. ბოსტონელები კი მხოლოდ ხუთჯერ (უკანასკნელად 1972 წელს) დაეპატრონენ ცილინდრის ფორმის ვერცხლის ლარნაკს, რომელიც 1893 წელს დააწესა კანადის გენერალ-გუბერნატორმა, ლორდმა სტენლი პრესტონმა. თასის პირველი მფლობელი გახდა „მონრეალ ემეჩურ ეტლეტიკ ასოსიეშნ", რომელმაც ეს მიღწევა მომდევნო წელსაც გაიმეორა.

1917 წლამდე კანადაში ცალ-ცალკე არ არსებობდა პროფესიული და სამოყვარულო ჰოკეი და ნებისმიერ გუნდს შეეძლო სტენლის თასისთვის ბრძოლა. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 1916 წელს მოიპოვა პირველად ეს პრიზი „კანადიენსმა".

1917 წელს შეიქმნა ჰოკეის ეროვნული ლიგა და აქედან მოყოლებული, სტენლის თასი გახდა ჯილდო კანადისა და ჩრდილოეთ ამერიკის უძლიერესი პროფესიული კლუბებისთვის.

ყოველ ახალ ტურნირში მონაწილე გუნდების შერჩევა ხდება ჰოკეის ეროვნული ლიგის პირველობის დამთავრების შემდეგ.

1967 წლამდე, როდესაც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 6 კლუბი შედიოდა, სტენლის თასის გათამაშებაში ლაიშვებოდა ჩემპიონატის 4 უძლიერესი კოლექტივი.

უკანასკნელ წლებში მონაწილეთა რაოდენობა 18-მდე გაიზარდა და ახლა პრიზისთვის 4 ჯგუფიდან 3-3 კლუბი იბრძვის. ჯგუფებში გამარჯვებულნი მეოთხედფინალიდან იწყებენ ასპარეზობას.

ბოლო რვა წლის მანძილზე „კანადიენსი" ხუთჯერ გავიდა ფინალში და ხუთივე სერია თავის სასარგებლოდ დაამთავრა. გუნდის ღირსებას იცავენ და იცავდნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორებიც არიან გ. ლეფლერი, ი. კურნუაიე, კ. დრაიდენი, ჟ. შატი, ჟ. პლანტი, ჟ. ტრამბლე, ფ. ესპოზიტო, ფ. და პ. მახოვლიჩები, მ. და ჟ. რიშარები და სხვ. 1967 წლიდან მოყოლებული (მას შემდეგ, რაც ჰოკეის ეროვნული ლიგა გაფართოვდა) ვერც ერთმა კლუბმა ვერ შეძლო სტენლის თასის სამჯერ ზედიზედ მოპოვება.

**ვ. ახალაძე.**

## რაგბი

[illegible] ბოლოდ, ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. კვირას მოსკოვში ორი მატჩი გაიმართა. სპორტკლუბ „ფილიმ" უმასპინძლა „ავტომობილისტს" და დაამარცხა იგი ანგარიშით 17:0.

მოსკოვის „ლოკომოტივისა" და კიევის „პოლიტეხნიკის" შეხვედრაში იმარჯვეს მასპინძლებმა — 16:10.

ამ დღეს უნდა ჩატარებულიყო, აგრეთვე, მოსკოვის „სლავასა" და კიევის „ავიატორის" მატჩი. იგი არ შედგა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ." თბ. | 5 | 4 | 1 | 0 | 81—36 | 9 |
| „სლავა" | 4 | 4 | 0 | 0 | 90—24 | 8 |
| „ლოკომ." მ. | 5 | 4 | 0 | 1 | 85—31 | 8 |
| „ავიატორი" | 4 | 3 | 0 | 1 | 73—17 | 6 |
| „ფილი" | 5 | 3 | 0 | 2 | 78—63 | 6 |
| სსა | 5 | 2 | 0 | 3 | 53—66 | 4 |
| „ელვა" | 5 | 1 | 1 | 3 | 29—67 | 3 |
| „პოლიტეხ." | 5 | 1 | 0 | 4 | 50—113 | 2 |
| „პრიმორეცი" | 5 | 1 | 0 | 4 | 38—114 | 2 |
| „ავტომობ." | 5 | 0 | 0 | 5 | 21—67 | 0 |

## მძლეოსნობა

**ჰანოვერში** გამართულ შეჯიბრებაზე ჰ.-პ. ჰოფმაისტერმა 400 მეტრი 45,81 წამში გაირბინა. ასეთი შედეგი წლეულს ევროპის სტადიონებზე არავის უჩვენებია. მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი უ. მეიფარტი 186 სმ სიმაღლეზე გადახტა, ხოლო ა. ვეიკი — 653 სმ სიგრძეზე, ესეც საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში.

**ჰალე.** აქ ვ. ჰანიშმა (გდრ) შუბის ტყორცნაში მსოფლიოში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი (89,06 მ) აჩვენა. ქალთა შორის მ. ბრეზემ ბირთვი 21,41 მეტრზე ჰკრა, ხოლო ს. ენგელის ბადრომ 65,48 მეტრი იფრინა.

**ოლიმპიურმა** ჩემპიონმა, კუბელმა ა. ხუანტორენამ წლევანდელი სეზონი სანტიაგო-დე-კუბას სტადიონზე გახსნა. აქ გამართულ ტრადიციულ „ბარიენტეს მემორიალში" 400 მეტრი 45,25 წამში გაირბინა.

## კრივი

**ლეგენდარული** რეი რობინსონი, ორმოციანი წლების მსოფლიო ჩემპიონი მსუბუქ და საშუალო წონებში, ამერიკელ ჟურნალისტთა მიერ დასახელებულია ყველა დროის საუკეთესო მოკრივედ მსოფლიოში. ამ გამოკითხვაში მეორე ადგილზეა მუჰამედ ალი, მესამეზე კი ჯო ლუისი.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; ჭადრაკის — 93-97-28; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 10047